"თურქეთი, შესაძლოა, რუსეთის გაზის მთავარი იმპორტიორი გახდეს"
პარასკევი, 28 ივნისი 2013 23:00

უახლოეს მომავალში, თურქეთი, შესაძლოა, გერმანიის დასწრებით "გაზპრომის" საწვავის უმსხვილესი იმპორტიორი გახდეს. "გაზპრომის" ხელმძღვანელი ალექსეი მილერი ასეთი განცხადებით გამოვიდა:
"ჩვენ, უახლოეს მომავალში, თურქეთთან ხელშეკრულებებში მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 მილიარდ კუბურ მეტრამდე შეიძლება ავიდეთ, ეს კი 20%-ით ზრდაა. თურქეთი, შესაძლოა, უახლოეს მომავალში, გერმანიას დაასწროს და ჩვენი იმპორტიორი გახდეს", - განაცხადა მან. მისი თქმით, 2013 წელს კომპანიის ევროპასა და თურქეთში გაყიდვების საერთო რაოდენობა 160 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს.

1 / 1